

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემური დაგეგმარების
(Privacy by Design)
სამართლებრივი ასპექტები

ელენე ძნელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი კახაბერ გოშაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი”.

ელენე ძნელაძე

05/07/2021

აბსტრაქტი

უწყვეტმა ტექნოლოგიურმა წინსვლამ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის მის კვალდაკვალ განვითარებამ წარმოშვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ისტემური დაგეგმარების კონცეფციის გაჩენის აუცილებლობა, რომელიც ამ სფეროში არსებული ყველა შესაძლო რეგულაციისა თუ უსაფრთხოების ზომის სისტემის შექმნამდე, მონაცემების დამუშავებამდე გათვალისწინებას მოიაზრებს და ამ ფორმით ერთ ორად ზრდის ყოველი დაწესებული მოთხოვნის ეფექტურობას.

აღნიშნული კონცეფცია უცხოა ქართული სამართლებრივი სივრცისთვის, მაშინ, როცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის არსებული მდგომარეობა, გასაახლებელი კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა კონცეფციის გამოყენების კრიტიკული აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

ყოველივე ზემოხსენებული მოწმობს იმაზე, რომ კონცეფცია არამარტო უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო დონეზე, არამედ უნდა გაიმართოს ზოგადი საკანონმდებლო ბაზა და მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის.

ამისთვის, კონცეფციის შინაარსთან ერთად, მნიშვნელოვანია, ვიცნობდეთ მის სამართლებრივ საფუძვლებს, უფლებრივ საფუძვლებს, მის რეპრეზენტაციას ვიწრო თემატურ კანონმდებლობასა თუ მომიჯნავე აქტებში და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

კონცეფციის სრულად აღსაქმელად, საინტერესოა რამდენიმე ასპექტის განხილვა, ესენია, კონცეფციის სამართლებრივი რაობა, მისი ფუნქცია და შედეგები, კრიტერიუმები ან/და გზები, რომელთა დახმარებითაც შევძლებთ, გავიგოთ, ვიყენებთ თუ არა კონცეფციას, ხომ არ ვიყენებთ მას სხვა სახელით ან მოდიფიცირებული ფორმით? მზადაა თუ არა არსებული კანონმდებლობა დამატებითი ნორმის მისაღებად და სჭირდება თუ არა ეს მას? □ ანაბიჯებია გადასადგმელი კანონმდებლობის შესაცვლელად და რა არის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

წინამდებარე თავი შედგება შესავლის, 5 თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

სამიეზო სიტყვები: პერსონალურ მონაცემთა დაცვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემური დაგეგმარების კონცეფცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

Abstract

Continuous technological development and the subsequent advancement of personal data protection law have entailed the emergence of the concept of Privacy by Design, which considers all possible regulations in this field before creating a security measurement system, processing data and thus doubles the effectiveness of each requirement.

This concept is not known to the Georgian legislation, while the current state of personal data protection, updating legislation and non-compliance with international standards make us face the critical need to use the concept.

All of the above indicates that the Privacy by Design concept should not only be regulated on the legislative level, but also a general legislative framework should be maintained and significant work should be done to raise public awareness.

For this, along with the content of the concept, it is important to know its legal basis, its representation in narrow thematic legislation or related acts and its practical application.

To fully understand the concept, it is interesting to discuss several aspects, such as the legal nature of the concept, its function and results, criteria and / or ways to understand whether or not we use the concept, whether we use it under another name or in a modified form. Is the existing legislation ready to receive an additional norm?

What sorts of measures need to be taken to change the legislation and what is the best international practice.

This paper consists of an introduction, 5 chapters, a conclusion and a bibliography.

Key words: Personal Data Protection, Privacy by Design, The Right to Privacy.